რუსეთის ჰიბრიდული ომის წარმატების და წარუმატებლობის მიზეზები აღმოსავლეთ ევროპაში: საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის მაგალითები

სტუდენტი: რევაზ ჭითანავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

(საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზარინა ბურკაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

რევაზ ჭითანავა

17.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი იკვლევს რუსეთის ჰიბრიდული ომის წარმატების და წარუმატებლობის მიზეზებს აღმოსავლეთ ევროპის სამი ქვეყნის-საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მაგალითებზე დაყრდნობით. საქართველოს კონტექსტში წარმოდგენილია 2008 წლის ომი, უკრაინის შემთხვევაში ყირიმის 2014 წლის ანექსია. ხოლო, მოლდოვის მაგალითი შესწავლილია 2024 წლის რეფერენდუმისა და საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევების შესაბამისად. ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ზემოთ ხსენებული შემთხვევები და მათი შედარების საფუძველზე შეისწავლოს რუსეთის აგრესიის განმაპირობებელი ფაქტორები. კვლევა თვისებრივი მეთოდით ჩატარდა და სხვადასხვა სახის ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეეცადა განემარტა რუსული ჰიბრიდული ომის რაობა, რომელ თეორიულ კონცეფციებზე დაყრდნობით მუშაობს ის, რა არის რუსული ჰიბრიდული ომის მიზანი და როდის სჭირდება რუსეთს გამოიყენოს როგორც კონვენციური, ისე არაკონვენციური იარაღი. თვისებრივმა კვლევის შედეგად გამოიკვეთა შესასწავლი შემთხვევებისა და დასავლეთს შორის ურთერთობის ძირითადი ასპექტები. აღნიშნული კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ურთიერთობების ჩამოყალიბების ქრონიკაზე და ამ ურთიერთობების გავლენაზე რუსეთთან მიმართებით.

Abstract

This research examines the causes behind Russia's use of hybrid warfare and the conditions under which it succeeds or fails, drawing on cases of three Eastern European countries — Georgia, Ukraine, and Moldova. The August 2008 war is analyzed in the context of Georgia, the 2014 annexation of Crimea in the case of Ukraine, and Moldova is studied through the lens of the 2024 referendum and parliamentary elections. The aim of the research is to explore these case studies comparatively in order to identify the main driving factor behind Russia's aggressive actions. A qualitative approach was used, based primarily on literature analysis and logical reasoning of secondary materials, to determine the circumstances under which Russia resorts to both conventional and unconventional forms of warfare. The analysis began by identifying key aspects of each country's relationship with the West. The study also traces the historical development of Georgia's, Ukraine's, and Moldova's foreign relations and the impact these trajectories have had on Russia's strategic responses.